განკითხვის დღეს მორწმუნე მიუახლოვდება მის უფალს, დიდებულს და უზენაესს, ისე, რომ ის დაფარავს მას თავისი გადასაფარით. შემდეგ მას შეახსენებს მის ცოდვებს

საფვან იბნ მუჰრიზმა თქვა: «ერთმა კაცმა ჰკითხა იბნ უმარს (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი): როგორ მოისმინე ალლაჰის შუამავლის სიტყვები (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ფარულ საუბარზე? თქვა: მოვისმინე, რომ ის ამბობდა: «განკითხვის დღეს მორწმუნე მიუახლოვდება მის უფალს, დიდებულს და უზენაესს, ისე, რომ ის დაფარავს მას თავისი გადასაფარით. შემდეგ მას შეახსენებს მის ცოდვებს და ჰკითხავს: „იცნოობ(შენს ცოდვებს)?“ ის პასუხობს: "ჰო, ჩემო ღმერთო, ვიცნობ". მაშინ უფალი ეტყვის: "მე დავფარე ისინი შენთვის ამ დუნიაში და დღეს კი გპატიობ". შემდეგ მას გადაეცემა მისი კეთილი საქმეების წიგნი. რაც შეეხება ურწმუნოებს და მუნაფიყებს (თვალთმაქცებს), მათზე ხმამაღლა გამოაცხადებენ ყველა ქმნილების წინაშე: "ესენი არიან ისინი, ვინც ცრუობდნენ ალლაჰზე"».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო ალლაჰსა და მისი მორწმუნე მსახურის ფარულ დიალოგზე განკითხვის დღეს და თქვა: განკითხვის დღეს ალლაჰი მორწმუნეს თავისთან მიახლოვებს და თავისი საფარველით დაფარავს, რათა მოლოდინში მყოფ ხალხს მისი საიდუმლო არ გამოეხსნას. შემდეგ ალლაჰი მას ეტყვის: აცნობიერებ ამა და ამ ცოდვას? შემდეგ ალლაჰი შეახსენებს იმ ცოდვებზე, რომლებიც მისა და მისი მსახურის შორის იყო. მორწმუნე უპასუხებს: დიახ, ჩემო ღმერთო. როდესაც მორწმუნე შეშინდება და შეძრწუნდება, ქებული ალლაჰი ეტყვის მას: ამ ქვეყანაში მე დავფარე ისინი შენთვის, და დღეს მე მათ გპატიობ, შემდეგ ალლაჰი მას გადასცემს მისი კეთილი საქმეების ჩანაწერს. რაც შეეხება ურწმუნოებსა და თვალთმაქცებს, მათ შესახებ ხმამაღლა გამოცხადდება ხალხმრავლობის წინაშე: ესენი არიან, ვინც თავიანთ ღმერთზე ტყუილს ამბობდნენ! ალლაჰის წყევლა იყოს უსამართლოებზე - მჩაგვრელებზე.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4242